BOSCH

Register your new device on MyBosch now and get free benefits:
**bosch-home.com/welcome**

MyBosch

# ესპრესოს სრულად ავტომატური ყავის აპარატი

**Serie | 8** **CTL7...** **CTL9...**

**[ka]** მომხმარებლის სახელმძღვანელო




1




2




3




4




5




6



7




8



9



10




11



12



13



14



15




16



17




18




19



20




21



22



23



24




25



26



27




28



29

**დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოძიება შეგიძლიათ ინტერნეტით. დაასკანირეთ QR კოდი საწყის გვერდზე.**



# სარჩევი


**1 უსაფრთხოება ............................ 8**
1.1 ზოგადი მითითებები ................. 8
1.2 დანიშნულებისამებრივი გამოყენება ................................ 8
1.3 გამოყენების სპექტრის შეზღუდვა ................................... 9
1.4 უსაფრთხო მონტაჟი .................. 9
1.5 უსაფრთხო მოხმარება ............. 10

**2 საკუთრების ზიანისთავიდან აცილება .......... 12**

**3 გარემოს დაცვა და ეკონომია .... 13**
3.1 შეფუთვის გადაგდება ............. 13
3.2 ენერგიის დაზოგვა ................... 13

**4 მონტაჟი და დაერთება ............. 13**
4.1 მოწოდების მოცულობა ........... 13
4.2 დანადგარის მონტაჟი და კვების წყაროსთან შეერთება .. 13
4.3 დანადგარის ელექტრული შეერთება .................................. 14

**5 გაცნობა ...................................... 14**
5.1 დანადგარი ................................ 14
5.2 საკონტროლო პანელი ............. 14

**6 აქსესუარი ................................. 15**

**7 პირველ გამოყენებამდე ............ 16**
7.1 დანადგარის გამზადება და გაწმენდა ................................... 16
7.2 წყლის სიხისტის განსაზღვრა ............................... 16
7.3 წყლის სიხისტის ხარისხის კონტროლი ............................... 17
7.4 წყლის ფილტრი [1] ...................... 17
7.5 პირველი ექსპლუატაცია .......... 18
7.6 ზოგადი მითითებები ............... 18

**8 მართვის საფუძვლები ............. 19**
8.1 მოწყობილობის ჩართვა ან გამორთვა .................................. 19
8.2 სასმელის ჩამოსხმა .................. 19
8.3 "DoubleShot" და "TripleShot" ................................ 19
8.4 Slow Brew და Cold Brew ........ 20
8.5 რძიანი ყავის მომზადება .......... 20
8.6 ორი ჭიქის ერთდროულად მომზადება ................................ 21

**9 საფქვავი ................................... 21**
9.1 საფქვავის პარამეტრის დაყენება .................................... 21

**10 რძის კონტეინერის სათავსო .. 21**
10.1 რძის კონტეინერის სათავსოს გამოყენება .............................. 21
10.2 საკუთარი რძის კონტეინერის გამოყენება [1] ............................ 21

**11 ბავშვების უსაფრთხოება ....... 22**
11.1 ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტის აქტივაცია ............... 22
11.2 ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტის დეაქტივაცია ........... 22

**12 „რჩეულები“ .......................... 22**
12.1 „რჩეულების“ რჩეული მენიუდან შექმნა .................... 22
12.2 „რჩეულები“ შექმენით "Classics" ან "Coffee World" საშუალებით ......................... 22
12.3 „რჩეულის“ შეცვლა ................ 23
12.4 „რჩეული“ ჩამონათვალის განულება ............................... 23
12.5 „რჩეულების“ სორტირება ...... 23

**13 Home Connect ....................... 23**
13.1 Home Connect აპლიკაციის დაყენება ................................. 23


[1] დანადგარის აღჭურვილობისამებრ

13.2 დააყენეთ Home Connect ...... 24
13.3 Home Connect პარამეტრები ........................... 24
13.4 მონაცემთა დაცვა .................... 25
**14 ძირითადი პარამეტრები ......... 25**
14.1 პარამეტრების შეცვლა ............ 25
14.2 მიმოხილვა "Settings" ............. 25
14.3 საათის დაყენება ..................... 28
**15 წმენდა და მოვლა .................... 28**
15.1 შესაძლებელია გაირეცხოს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ... 28
15.2 საწმენდი საშუალება .............. 29
15.3 დანადგარის გაწმენდა ........... 30
15.4 საწვეთურისა და ყავის ნარჩენების კონტეინერის გასუფთავება .......................... 30
15.5 რძის კონტეინერის გაწმენდა ................................ 30
15.6 მომსახურების პროგრამა ....... 30
**16 ხარვეზების აღმოფხვრა .......... 32**
**17 ტრანსპორტირება, შენახვა და განკარგვა ................................ 37**
17.1 ყინვისგან დაცვის გააქტიურება ........................... 37
17.2 ძველი დანადგარების განკარგვა ................................ 37
**18 კლიენტთა მომსახურების სამსახური ................................ 38**
18.1 ნაწარმის არტიკული (E-Nr.), ქარხნული ნომერი (FD) და რიგითი ნომერი (Z-Nr.) .......... 38
**19 ტექნიკური მონაცემები .......... 38**
19.1 ინფორმაცია უფასო და ღია საწყის პროგეამულ უზრუნველყოფაზე ................ 38
**20 შესაბამისობის დეკრალაცია ... 39**

# ⚠ 1 უსაფრთხოება

დაიცავით უსაფრთხოების ტექნიკის მითითებები.

## 1.1 ზოგადი მითითებები

- წაიკითხეთ ინსტრუქცია საფუძვლიანად.
- შეინახეთ ინსტრუქცია, ისევე როგორც პროდუქტის სხვა ინფორმაციები შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მეპატრონისათვის.
- ტრანსპორტირებისას მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში, ნუ ჩართავთ მას.

## 1.2 დანიშნულებისამებრივი გამოყენება

გამოიყენეთ დანადგარი მხოლოდ:
- ცხელი სასმელების მოსამზადებლად.
- ცივად მოსახარში სასმელების მოსამზადებლად.
- კერძო საკუთრებაში მოსახმარებლად სახლის პირობებსა და დახურულ სივრცეებში.
- ზღვის დონიდან არა უმეტეს 2000 მ სიმაღლეზე.

## 1.3 გამოყენების სპექტრის შეზღუდვა

ამ მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია 8 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ფიზიკურად, სენსორულად ან გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის ან გამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირთათვის, მეთვალყურეობის შემთხვევაში და/ან მოწყობილობის უსაფრთხო მოხმარების შესწავლის შემდეგ, თუ მათთვის გასაგებია არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები.
ბავშების თამაში მოწყობილობასთან დაუშვებელია.
გაწმენდითი სამუშაოები, ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასაკი არის 8 წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ.
მოარიდეთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები მოწყობილობას და მის გაყვანილობებს.

## 1.4 უსაფრთხო მონტაჟი

### ⚠ გაფრთხილება – ელექტროშოკის რისკი!

საშიშია არაკვალიფიცირებული ინსტალაცია

- მოწყობილობის შეერთება და ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს ელექტრო პროდუქტის ეტიკეტზე მოცემული მნიშვნელობების შესაბამისად.
- ყოველთვის გამოიყენეთ მოწყობილობის მოწოდების კომპლექტში შემავალი ქსელის კაბელი.
- უსაფრთხოების ზომების დაცვით დაყენებულ შტეფსელში მოწყობილობა ცვლადი დენით უნდა შეერთდეს.
- სახლის ელექტრული მონტაჟების დამცავი სისტემა ჯეროვნად უნდა იყოს დაყენებული.

საფრხთის შემცველია დაზიანებული მოწყობილობა ან დაზიანებული ქსელის კაბელი.

- არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- არასოდეს გამოიყენოთ დანადგარი გაბზარული ან გატეხილი ზედაპირით.
- აკრძალულია ქსელის კაბელის მოქაჩვა, მოწყობილობის ელექტროქსელიდან გამოსართავად. გამოსწიეთ შტეფსელიდან ქსელის კაბელის ჩანგალი.

- მოწყობილობის ან ქსელის კაბელის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიღეთ ჩანგალი შტეფსელიდან და გამორთეთ დამცველი დამცველების ბლოკში.
- დაუკავშირდით სერვისცენტრს. →*გვერდი 38*

არაკვალიფიცირებული შეკეთებისას მოწყობილობა შესაძლოა გახდეს საფრთხის წყარო.

- მოწყობილობის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ კვალიფიცირებული სპეციალისტისთვის.
- მოწყობილობის შეკეთებისთვის შეიძლება მხოლოდ ორიგინალი ნაწილების გამოყენება.
- თუკი თქვენს დანადგარს დაუზიანდა ქსელში შემაერთებელი ან თქვენი დანადგარის სხვა დანადგარებთან დამაკავშირებელი კაბელი, აუცილებელია მისი ქსელთან შემაერთებელი ან სხვა დანადგარებთან დამაკავშირებელი სპეციალური კაბელებით შეცვლა, რომელთა შეძენაც შესაძლებელია მწარმოებელთან ან კლიენტთა მომსახურების სამსახურში.

## 1.5 უსაფრთხო მოხმარება

### ⚠ გაფრთხილება – გაგუდვის რისკი!

ბავშვებმა შესაძლოა შესაფუთი მასალა თავზე ჩამოიცვან და შიგნით გაეხვიონ, რაც დახრჩობის საფრთხეს ქმნის.

- შესაფუთი მასალა ბავშვებს მოარიდეთ.
- არ მისცეთ ბავშვებს უფლება ითამაშონ შესაფუთი მასალებით.

ბავშვებს შეუძლიათ პატარა ნაწილები შეისუნთქონ ან გადაყლაპონ და ამით დაიხრჩონ.

- მოარიდეთ ბავშვებს პატარა ნაწილები.
- არ მისცეთ ბავშვებს უფლება პატარა ნაწილებით ითამაშონ.

### ⚠ გაფრთხილება – ელექტროშოკის რისკი!

სინოტივის შეჭრას, ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია.

- არასოდეს ჩადოთ წყალში დანადგარი ან ქსელის გაყვანილობა.
- დანადგარის შტეკერზე წყალი არ უნდა გადავიდეს.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დახურულ შენობაში.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობები ძალიან მაღალი ტემპერატურის ან სინესტის დროს.
- დანადგარის საწმენდად არ გამოიყენოთ ორთქლით მწმენდავი ან მაღალი წნევით საწმენდი საშუალებები.

### ⚠ გაფრთხილება – ხანძრის რისკი!

დანადგარი ცხელდება
- ▶ მოახდინეთ დანადგარის საკმარისი ვენტილირება
- ▶ არასოდეს გამოიყენოთ დანადგარი როდესაც კარადის კარი დაკეტილია

დმაგრძელებელი დენის კაბელის ან არანებადართული გადამყვანების (ადაპტერის) გამოყენება საშიშია.
- ▶ არ გამოიყენოთ დამაგრძელებელი კაბელები, ან მრავლობითი შტეფსელები.
- ▶ გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის მიერ დაშვებული გადამყვანი (ადაპტერი) და ელექტრომოწოდების შნური.
- ▶ თუ ელექტრომიწოდების შნური ძალიან მოკლეა და არ გაქვთ უფრო გრძელი, დაუკავშირდით ელექტრიკოსს, რათა მოახდინოს სახლში მონტაჟის ადაპტირება.

### ⚠ გაფრთხილება – დამწვრობის რისკი!

დანადგარის ზოგიერთი ნაწილი ცხელდება
- ▶ არასოდეს შეეხოთ დანადგარის გაცხელებულ ნაწილებს
- ▶ გამოყენების შემდეგ დაელოდეთ დანადგარის ცხელი ნაწილების გაცივებას სანამ შეეხებით

### ⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საფრთხე!

ახლად მომზადებული სასმელი ძალიან ცხელია
- ▶ თუ საჭიროა დაელოდეთ სასმელის გაგრილებას
- ▶ მოერიდეთ გამომავალი სითხეების და ორთქლის ზემოქმედებას კანზე

უმეთვალყურეო დისტანციურმა ჩართვამ Home Connect აპლიკაციის საშუალებით შეიძლება გამოიწვიოს დანადგართან მყოფი მესამე პირის დამწვრობა.
- ▶ არ შეეხოთ ყავის ჩამოსასხმელ ხვრელს სასმელის ჩამოსხმისას.
- ▶ სხვა პირები და განსკუთრებით კი ბავშვები დანადგართან არ მიუშვათ.

### ⚠ გაფრთხილება – დაზიანების მიღების საშიშროება!

დანადგარის არასწორად ექსპლუატაციამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მომხმარებელს
- ▶ ტრავმების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ დანადგარი მხოლოდ დანიშნულებისამებრ

თითების დაზიანება დანადგარის კარის დახურვის დროს
- ▶ დანადგარის კარის დახურვისას ყურადღება მიაქციეთ თითებს

საფქვავი ბრუნავს
- არასოდეს შეეხოთ საფქვავს

### ⚠ გაფრთხილება – საფრთხე: მაგნეტიზმი!


მაგნიტური ველის ზემოქმედების საშიშროება


საფრთხე კარდიოსტიმულატორების მქონე პირებისთვის
დანადგარი შეიცავს მუდმივ მაგნიტებს მას შეუძლია ისეთ ელექტრონულ იმპლანტანტებზე ზეგავლენის მოხდენა, როგორიც არის კარდიოსტიმულატორი ან ინსულინის ტუმბო
- ელექტრო იმპლანტების მქონე პირებს ეკრძალებათ დანადგართან და მის კართან 10 სანტიმეტრზე უფრო ახლო დისტანციაზე ყოფნა
- ელექტრო იმპლანტების მქონე პირებს ეკრძალებათ დანადგართან 10 სანტიმეტრზე უფრო ახლო დისტანციაზე ყოფნა

### ⚠ გაფრთხილება – ჯანმრთელობის დაზიანების საშიშროება!

დანადგარის დაბინძურებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას
- გაწმენდისთვის დაიცავით მითითებები

ცხელი წყლის სისტემიდან გამომავალმა წყალმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას.
- დანადგარისთვის გამოიყენეთ მხოლოდ ახალი, ცივი, არაგაზირებული სასმელი წყალი.

## 2 საკუთრების ზიანისთავიდან აცილება

**ყურადღება**

დანადგარის დაზიანების საშიშროება
დანადგარის ექსპლუატაციაში არასწორად გაშვებამ შეიძლება დააზიანოს ის
- დანადგარი გამოიყენეთ მხოლოდ ყინვაგამძლე ოთახებში
- თუ დანადგარი 0 °C ტრანსპორტირდება ან ინახება, 3 საათი დაელოდეთ ოთახის ტემპერატურას ექსპლუატაციისთვის
- ყოველი ჩართვის წინ დაელოდეთ დაახლოებით 5 წამი ტემპერატურას

არასწორმა მონტაჟმა შეიძლება ქონებრივი ზარალი გამოიწვიოს
- დაიცავით დანადგარის ზევით ან ქვევით განთავსებული მონტაჟის ინსტრუქცია

- გასათბობ უჯრაზე დამონტაჟებისას ყურადღება მიაქციეს ნიშის სიმაღლეს 590 მმ
დაუმაგრებელი ავეჯი შეიძლება ჩამოვარდეს
- დაუმაგრებელი ავეჯი ერთ-ერთი დარჩენილი კუთხით კედელზე მიამაგრეთ

# 3 გარემოს დაცვა და ეკონომია

## 3.1 შეფუთვის გადაგდება

შესაფუთი მატერიალი ეკოლოგიურად უსაფრთხოა და შესაძლებელია განმეორებითი გამოყენება.

- თითოეული შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებლად განკარგეთ შესაბამისი ტიპის მიხედვით.

## 3.2 ენერგიის დაზოგვა

ამ მითითებების დაცვისშემთხვევაში თქვენი მოწყობილობა ნაკლებ ენერგიას გამოიყენებს.

ავტომატური გამორთვის ინტერვალი დააყენეთ უმცირეს ნიშნულზე
- ✔ თუ დანადგარი არ გამოიყენება, იგი მალევე თვითონ ითიშება
→ *"ძირითადი პარამეტრები", გვერდი 25*

სასმელის ჩამოსხმა დროზე ადრე არ გააჩეროთ
- ✔ გაცხელებული წყლისა და რძის რაოდენობა გამოიყენება ოპტიმალურად

რეგულარულად გაწმინდეთ დანადგარი ნადებისგან
- ✔ ნადები ზრდის ენერგიის მოხმარებას

# 4 მონტაჟი და დაერთება

## 4.1 მოწოდების მოცულობა

განფუთვისას შეამოწმეთ ყველა ნაწილი ტრანსპორტირების დაზიანებაზე.

**შენიშვნა:** დანადგარის სხვადასხვა ტიპს შესაბამისი აქსესუარი მოყვება ეს აქსესუარი გამოირჩევა დაშტრიხული ჩარჩოთი.

→ *სურ.* **1**

| | |
|---|---|
| A | სრულიად ავტომატური ყავის აპარატი |
| B | რძის კონტეინერები |
| C | მონტაჟის ინსტრუქცია |
| D | წყლის ფილტრი [1] |
| E | წყლის სიხისტის საზომი ტესტ-ჩხირი |
| F | გამოყენების ინსტრუქცია |

## 4.2 დანადგარის მონტაჟი და კვების წყაროსთან შეერთება

მონტაჟის ინსტრუქციაში აღწერილია სხვადასხვა მოდელები, რომლებიც ერთმანეთისგან მიწოდების ნორმებითა და მონტაჟით განსხვავდება.

**შენიშვნა:** ყურადღება მიაქციეთ ინფორმაციას თემაზე უსაფრთხოება →*გვერდი 8* და ქონებრივი ზიანის თავიდან აცილება →*გვერდი 12*

- დანადგარი დაამონტაჟეთ და შეაერთეთ ყუთში მოთავსებული სამონტაჟო ინსტრუქციის შესაბამისად.

[1] დანადგარის აღჭურვილობისამებრ

### 4.3 დანადგარის ელექტრული შეერთება

1. შეაერთეთ დანადგარში დენის შტეკერი.
2. დანადგარის სიახლოვეს მდებარე შტეფსელში შეაერთეთ დანადგარში შეერთებული დენის წყაროს შტეკერი.
3. ქსელის შტეკერი მყარ ჯდომაზე შეამოწმეთ.

## 5 გაცნობა

### 5.1 დანადგარი

აქ თქვენ იხილავთ თქვენი დანადგარის შემადგენელი ნაწილების მიმოხილვას.

**შენიშვნა:** დანადგარის ტიპის მიხედვით, შესაძლოა განსხვავდებოდეს ფერები და დეტალები

**გარეგნული მხარე**
→ *სურ.* **2**

| | |
|---|---|
| 1 | მოხსნადი სათავსო |
| 2 | განათება |
| 3 | საკონტროლო პანელი |
| 4 | სასმელის ჩამოსაშვები ხვრელის ხუფი, სიმაღლე რეგულირებადია |
| 5 | ფინჯნის განათება |
| 6 | დანადგარის კარი |
| 7 | სასმელის გამანაწილებელი |
| 8 | სასმელის ჩამოსაშვები ხვრელის ხუფი |

**შიდა ხედი**
→ *სურ.* **3**

| | |
|---|---|
| 9 | ლანგარი წვეთებისთვის |
| 10 | ტიპის ნიშნული |
| 11 | წყლის კონტეინერი თავსახურით |
| 12 | ელექტროქსელის ჩამრთველი |
| 13 | აქსესუარების ყუთი |
| 14 | მარცვლის კონტეინერი თავსახურით |
| 15 | შიდა სივრცის განათება [1] |
| 16 | საფქვავის რეგულაცია |
| 17 | ხარშვის განყოფილების ხუფი |
| 18 | ხარშვის ბლოკი |
| 19 | რძის კონტეინერები |
| 20 | რძის სისტემა |
| 21 | რძის კონტეინერის სათავსო მოხსნადი |
| 22 | ყავის ნარჩენების კონტეინერი |
| 23 | საწვეთური |
| 24 | საწვეთურის ხუფი |

### 5.2 საკონტროლო პანელი

მართვის პანელის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ თქვენი მოწყობილობის ყველა ფუნქციის დაყენება და მუშაობის რეჟიმის შესახებ ინფორმაციის მიღება.

| | |
|---|---|
| ⏻ | დანადგარის ჩართვა ან გამორთვა |
| ⌂ | ▪ მენიუს პარამეტრებიდან გასვლა<br>▪ უკან საწყის მენიუზე ნავიგაცია |

[1] დანადგარის აღჭურვილობისამებრ

| | |
|---|---|
| start stop | პროგრამის ჩართვა ან გაჩერება |
| Favourites | დამახსოვრებული სასმელები შეგიძლიათ პერსონალურ პარამეტრებში აირჩიოთ →*გვერდი 22* |
| Classics | სტანდარტული სასმელების არჩევა |
| Coffee World | საბაზო სასმელების არჩევისას შესაძლებელია Home Connect გაფართოვების გამოყენება |
| Care & maintenance | მომსახურების პროგრამის ჩართვა |
| Settings | პარამეტრებში შესვლა ან გამოსვლა |

**სასმელის სწრაფი არჩევა**

| | |
|---|---|
| | სწრაფი არჩევა პირდაპირ "Favourites" |
| | სწრაფი არჩევა პირდაპირ "Classics" |
| | სწრაფი არჩევა პირდაპირ "Coffee World" |

**ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| | კლიენტთა მომსახურების გუნდი |
| | დანადგარი დაკავშირებულია Home Connect - თან. |
| | დანადგარი არ არის ჩართული Home Connect |
| | დანადგარს არ აქვს სერვერთან კავშირი |
| | პლეილისტის ფუნქცია Home Connect აპლიკაციაშია გააქტიურებული |
| | რძის კონტეინერის შემოწმება |
| | მარცვლების შევსება |
| | წყლის შევსება |
| | "Demo mode" არის აქტივირებული |

**სასმელის პარამეტრები**

| | |
|---|---|
| | რაოდენობა |
| | სიმძლავრე |
| | არომატი |
| | რძის შემცველობა |
| | ტემპერატურა |

**მართვა**

| | |
|---|---|
| | მენიუში დაბრუნება |
| | "რჩეულის" დამატება |
| | „რჩეული“ ჩამონათვალის განულება |
| | ორი ჭიქის ჩამოსხმა |

**სწრაფი არჩევა**

| | |
|---|---|
| | სწრაფი არჩევის ჩართვა |
| | ბავშვების უსაფრთხოების ბლოკირების გააქტიურება ან დეაქტივაცია |
| | WiFi-ს ჩართვა ან გამორთვა |

# 6 აქსესუარი

გამოიყენეთ ორიგინალი აქსესუარები. ისინი ადაპტირებულია მოცემული მოწყობილობისთვის.

| აქსესუარები | გამოყენება | კლიენტთა მომსახურების გუნდი |
|---|---|---|
| გამწმენდი აბები | TCZ8001A | 00312096 |
| ნადების მოსაშორებელი აბი | TCZ8002A | 00312093 |
| წყლის ფილტრი | TCZ7003 | 17000705 |
| მიკროფიბრული ჩვარი | - | 00312289 |
| მოვლის ნაკრები | TCZ8004A | 00312107 |
| შუშის რძის კონტეინერი | - | 12043068 |
| გახსნის კუთხის შეზღუდვა 92 გრადუსი | - | 10020041 |
| დამაგრძელებელი დენის კაბელი, ევროპა, 5m | - | 12022522 |

# 7 პირველ გამოყენებამდე

მოამზადეთ დანადგარი გამოყენებისათვის.

## 7.1 დანადგარის გამზადება და გაწმენდა

გაწმინდეთ დანადგარი და თითოეული ნაწილი მიჰყევით დასურათებულ მითითებებს ამ ინსტრუქციის დასაწყისში

**ყურადღება**
არასწორად შერჩეულმა მარცვლებმა შეიძლება საფქვავი გაჭედოს.
- გამოიყენეთ მხოლოდ წმინდა, მოხალული ესპრესო ან მთლიანად ავტომატური დანადგარებისთვის განკუთვნილი მარცვლების ნარევები.
- არ გამოიყენოთ გლაზურით დაფარული ყავის მარცვლები.
- არ გამოიყენოთ კარამელიზირებული ყავის მარცვლები.
- არ გამოიყენოთ ყავის მარცვლები, რომლებიც შეიცავს შაქრიან დანამატებს.
- არ ჩაყაროთ დაფქვილი ყავა.

→ *სურ.* **4** - **23**

**შენიშვნა:** აავსეთ წყლის ავზი ყოველ დღე ახალი, ცივი, არაგაზირებული სასმელი წყლით.

**რჩევა:** შეინახეთ ყავის მარცვლები ცივ და დახურულ ადგილას ხარისხის ოპტიმალური შენარჩუნებისთვის მარცვლების კონტეინერში შესაძლებელია ყავის მარცვლების მრავალი დღის განმავლობაში შენახვა, ისე რომ არომატი არ დაიკარგოს

## 7.2 წყლის სიხისტის განსაზღვრა

წყლის სიხისტის სწორად შერჩევა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოწყობილობამ დროულად შეძლოს ნადების მოშორების საჭიროების მითითება თქვენ შეგიძლიათ წყლის სიხისტის განსაზღვრა კომპლექტში შემავალი ტესტ-ჩხირების მეშვეობით ან მოიკითხოთ წყალმომარაგების ადგილობრივ ორგანიზაციაში

1. ჩაუშვით ტესტ-ჩხირი მცირე ხნით ონკანის სუფთა წყალში

2. დაელოდეთ ტესტ-ჩხირიდან წყლის ჩამოწვეთას.
3. ტესტ-ჩხირზე 1 წუთი წაიკითხეთ წყლის სიხისტე.
   → *"წყლის სიხისტის ხარისხის კონტროლი", გვერდი 17*

**შენიშვნა:** თუ სახლში დამონტაჟებულია წყლის დამარბილებელი მოწყობილობა, შეგიძლიათ "Water softening system" დაარეგულიროთ.

**რჩევები**

- შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ პარამეტრები → *"ძირითადი პარამეტრები", გვერდი 25*
- როდესაც წყლის სიხისტე აღემატება 21dH (3,8mmol/l), შეგიძლიათ წყლის ავზი აავსოთ წინასწარ გაფილტრული წყლით, რათა შეამციროთ ნადები წყლის ავზში.

## 7.3 წყლის სიხისტის ხარისხის კონტროლი

ცხრილზე ნაჩვენებია წყლის სიხისტის ხარისხის დონეების მიხედვით განაწილება.

| დონე | INTENZA ფილტრზე რგოლის პარამეტრების დაყენება | გერმანული წყლის სიხისტე °dH-ში | საერთო სიხისტე მმოლი/ლ-ში |
|---|---|---|---|
| 1 | A | 1 - 7 | < 1,3 |
| 2 | A | 8 - 14 | 1,3 - 2,5 |
| 3 | B | 15 - 21 | 2,5 - 3,8 |
| 4 [1] | C | 22 - 30 | > 3,8 |

## 7.4 წყლის ფილტრი [2]

წყლის ფილტრის გამოყენებით თავიდან აირიდებთ ნადების წარმოქმნას და შეამცირებთ წყლის დაბინძურებას
წყალში კირის შემცველობა ზეგავლენას ახდენს ყავის არომატსა და ნაღებზე. BRITA INTENZA-ს წყლის ფილტრის ქვემოთა მხარეს არის არომატის რგოლი (Aromaring). თქვენი ონკანის წყლისთვის ოპტიმალური არომატის დონის დასაყენებლად გადაატრიალეთ არომატის რგოლი.

### წყლის ფილტრის ჩასმა

**ყურადღება**
ნადებისგან მიყენებული შესაძლო ზიანი

- ► დროულად გამოცვალეთ წყლის ფილტრი
- ► წყლის ფილტრი გამოცვალეთ არაუგვიანეს 2 თვე
- ► დააკვირდით შეტყობინებებს ეკრანზე

1. აირჩიეთ "Care & maintenance"
2. აირჩიეთ "INTENZA filter" და მიჰყევით მითითებებს ეკრანზე

---

[1] ქარხნული პარამეტრები
[2] დანადგარის აღჭურვილობისამებრ

### წყლის ფილტრის გამოცვლა ან ამოღება

დანადგარის გამოყენება წყლის ფილტრის გარეშეც შეგიძლიათ

1. აირჩიეთ "Care & maintenance"
2. აირჩიეთ "INTENZA filter"
3. აირჩიეთ "Replace" ან "Remove" და მიჰყევით მითითებებს ეკრანზე

**შენიშვნები**

- გამოყენებული წყლის ფილტრების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი წესების შესაბამისად.
- გამოსაცვლელი წყლის ფილტრი ყოველთვის შეინახეთ თავდაპირველ დალუქულ მდგომარეობაში გრილ და მშრალ ადგილზე.

**რჩევები**

- წყლის ფილტრი ჰიგიენური მიზეზებიდან გამომდინარეც უნდა გამოცვალოთ
- წყლის ფილტრის მოხმარებისას დანადგარი იშვიათად იკეთებს ნადებს
- როდესაც წყლის ფილტრს იყენებთ, ყავა უფრო გემრიელი გამოდის
- თუ დანადგარი დიდი ხნის განმავლობაში არ გამოგიყენებიათ, მასში ჩადგმული ფილტრი მოხმარების წინ გარეცხეთ ერთი ჩაის ჭიქა წყლის ჩასხმით
- წყლის ფილტრი შეგიძლიათ შეიძინოთ თავად ან კლიენტთა მომსახურების ცენტრში
  → *"აქსესუარი", გვერდი 15*

## 7.5 პირველი ექსპლუატაცია

დენის წყაროსთან შეერთების შემდეგ დააყენეთ თავდაპირველი ექსპლუატაციის პარამეტრები. თავდაპირველი ექსპლუატაცია გამოჩნდება პირველი ჩართვისას ან ქარხნულ პარამეტრებზე დაბრუნების შემდეგ.

1. გააღეთ დანადგარის კარი
2. დარწმუნდით, რომ დენის მიწოდების გამომრთველი დაყენებულია I-ზე.
   → *სურ.* **24**
3. დახურეთ დანადგარის კარი
4. ჩართეთ დანადგარი ღილაკით ⏻ და დაელოდეთ სანამ გაირეცხება
5. მიჰყევით მითითებებს ეკრანზე.

✔ ეკრანის საშუალებით შეგიძლიათ პროგრამაში შესვლა.

**რჩევა:** მოკლე ინფორმაციის გამოსაყვანად დააჭირეთ i

**შენიშვნები**

- როდესაც Home Connect დაყენება გსურთ, მიჰყევით აპლიკაციის Home Connect მითითებებს
  → *"დააყენეთ Home Connect", გვერდი 24*
- თუ არჩეულია "Demo mode", ფუნქციონირებს მხოლოდ ეკრანის მაჩვენებლები. თქვენ ვერ შეძლებთ სასმელის ჩამოსხმას ან პროგრამის გაშვებას.

## 7.6 ზოგადი მითითებები

მიჰყევით ინსტრუქციას თქვენი დანადგარის ოპტიმალური გამოყენებისთვის

**შენიშვნები**

- ოპტიმალური მუშაობისთვის დანადგარი დაპროგრამებულია ქარხნულად სტანდარტული პარამეტრებით
- ინტეგრირებული ვენტილატორი ირთვება ყოველ ჯერზე სასმელის ჩამოსხმისას და ჩამოსხმის შემდგომ ითიშება დაახლოებით 5-7 წუთის შემდეგ
- საფქვავი ქარხნულად ყველაზე ოპტიმალურ მუშაობაზეა დაყენებული თუ ყავა წვეთ-წვეთად ისხმევა, წყალწყალაა ან არასაკმარისი ზედაპირზე წარმოქმნილი ნალექი აქვს,

შეგიძლიათ დაფქვის პარამეტრები დაარეგულიროთ
→ *"საფქვავის პარამეტრის დაყენება", გვერდი 21*
- თუ თქვენ გარკვეული დროის განმავლობაში არ სარგებლობთ დანადგარით, ის ავტომატურად გაითიშება დროის ხანგრძლოვობა შეგიძლიათ ძირითად პარამეტრებში შეცვალოთ
→*გვერდი 25*
- პირველად ჩამოსხმულ სასმელს არ აქვს სრულყოფილი არომატი, რადგან:
  – პირველად იყენებთ დანადგარს
  – თქვენ გაუშვით მომსახურების პროგრამა
  – დანადგარი დიდი ხანია არ გამოგიყენებიათ

  არ დალიოთ სასმელი

# 8 მართვის საფუძვლები

## 8.1 მოწყობილობის ჩართვა ან გამორთვა

**შენიშვნები**
- დანადგარის ხმარების დროს არ დააჭიროთ ჩამრთველ ღილაკს
- სანამ ელექტროქსელის ჩამრთველს გამორთავთ, გათიშეთ დანადგარი ⏻ ღილაკის მეშვეობით მხოლოდ ასე ჩაირთვება დანადგარის ავტომატური რეცხვა
- ავტომატური რეცხვის დროზე ადრე დასრულებისთვის დააწექით start stop.

▸ ⏻ დააჭირეთ.
ჩართვისას ეკრანზე ლოგო გამოჩნდება ჩართვა-გამორთვის დროს დანადგარი ავტომატურად ირეცხება გამორთულ დანადგარში წყალი ორთქლდება საწვეთურიდან თუ ჩართული დანადგარი ცხელია ან სასმელი არ ჩამოისხა მის გამორთვამდე, დანადგარი არ გაირეცხება

## 8.2 სასმელის ჩამოსხმა

გაიგეთ როგორ დაამზადოთ სასურველი სასმელი

**⚠ გაფრთხილება**
**დამწვრობის საფრთხე!**
ახლად მომზადებული სასმელი ძალიან ცხელია
- ▸ თუ საჭიროა დაელოდეთ სასმელის გაგრილებას
- ▸ მოერიდეთ გამომავალი სითხეების და ორთქლის ზემოქმედებას კანზე

**შენიშვნები**
- გარკვეული პარამეტრების მითითებით ყავა მზადდება რამდენიმე ეტაპად დაელოდეთ სანამ ოპერაცია დასრულდება.
- როდესაც რძიან სასმელს ამზადებთ, ყოველთვის დააკავშირეთ რძით სავსე კონტეინერი რძის შლანგთან და შემწოვ მილთან
- რძის კონტეინერი სპეციალურად ამ დანადგარისთვისაა დამზადებული რძის კონტეინერი გამოიყენეთ მხოლოდ რძის შესანახად სახლში და მაცივარში
- როდესაც რძის სისტემა არ არის გასუფთავებული, ცხელი წყალის მოხმარებისას მასთან ერთად შესაძლებელია რძის მცირე რაოდენობამ გამოჟონოს.

## 8.3 "DoubleShot" და "TripleShot"

დანადგარი ორჯერ ან სამჯერ ფქვავს ყავას.
დანადგარი ყოველ ჯერზე თავიდან ფქვავს და ხარშავს ყავას, რათა მოხდეს მხოლოდ გემრიელი და სასარგებლო არომატული ნივთიერებების გამოყოფა.

რაც უფრო დიდხანს იხარშება ყავა, მით უფრო მეტი მწარე ნივთიერება და არასასურველი არომატი გამოიყოფა. მწარე ნივთიერებები და არასასურველი არომატები ყავის გემოსა და სასარგებლო თვისებებზე უარყოფით გავლენას ახდენს.

**შენიშვნა:** "DoubleShot" და "TripleShot" ფუნქციები დამოკიდებულია არჩეული სასმელის სიძლიერესა და რაოდენობაზე

## 8.4 Slow Brew და Cold Brew

Slow Brew და Cold Brew არის ხანგრძლივად მოსახარში სასმელები, რომლებსაც თქვენი დანადგარი ჩამოასხამს პულსირებული, უწყვეტი ნაკადით. ყავის ამგვარად მომზადების ცხელი და ცივი ვარიანტი არსებობს. სასმელის მომზადება რამოდენიმე წუთი გრძელდება.

**შენიშვნა:** სასმელის მომზადებამდე გაავსეთ წყლის ავზი ახალი, ცივი, არაგაზირებული სასმელი წყლით.

## 8.5 რძიანი ყავის მომზადება

გაიგეთ მაგალითიდან როგორ მოამზადოთ ლატე მაკიატო

**⚠ გაფრთხილება**
**დამწვრობის რისკი!**

რძის სისტემა ძალიან ცხელდება

- ▶ არ შეეხოთ რძის სისტემას, სანამ ის ცხელია
- ▶ გააგრილეთ რძის სისტემა სანამ შეეხებით

### წინაპირობები

- ■ რძის კონტეინერი ჩასმულია
- ■ რძის სისტემა მიერთებულია სასმელის გამანაწილებელთან
- ■ რძის კონტეინერი საკმარისი რძით არის სავსე

1. დადგით ჭიქა სასმელის ჩამოსაშვები ხვრელის ქვეშ
2. აირჩიეთ "Classics" და დააჭირეთ "Classics" ღილაკს
3. აირჩიეთ "Latte macchiato" და დააჭირეთ "Latte macchiato" ღილაკს
4. სასმელის პარამეტრების დაყენება.
   - ▶ მოცულობის 💧 შესაცვლელად დააჭირეთ შესაბამის სეგმენტს
   - ▶ სიძლიერის შესაცვლელად დააჭირეთ ⊘ და დაარეგულირეთ სიძლიერე შესაბამისი სეგმენტის საშუალებით
   - ▶ რძის წილის შესაცვლელად დააჭირეთ ▯ ღილაკს და დაარეგულირეთ წილი შესაბამისი სეგმენტების არჩევით
5. start/stop დააჭირეთ.
   - ▶ სასმელის ჩამოსხმის შეწყვეტისთვის დააჭირეთ start/stop ღილაკს
   - ▶ მიმდინარე ჩამოსხმის პროცესის დროს კონკრეტული ნაბიჯის შესაჩერებლად დააჭირეთ "Skip" ღილაკს

✔ სასმელი მზადდება და შემდეგ ისხმება ჭიქაში.

### შენიშვნები

- ■ თუ დაახლოებით 30 წამის განმავლობაში არ შეცვლით რომელიმე პარამეტრს, დანადგარი გამოვა პარამეტრების რეჟიმიდან
- ■ დანადგარი ავტომატურად ინახავს პარამეტრებს

### რჩევები

- ■ შეგიძლიათ ჭიქები სასმელის ჩამოსხმამდე ცხელი წყლით გააცხელოთ
- ■ შეგიძლიათ ასევე მცენარეული სასმელები გამოიყენოთ, მაგალითად სოიო
- ■ რძის ქაფის ხარისხი დამოკიდებულია გამოყენებული რძის ან მცენარეული სასმელის სახეობაზე

### 8.6 ორი ჭიქის ერთდროულად მომზადება

იმის მიხედვით თუ რომელ სასმელს ამზადებთ, შეგიძლიათ ერთდროულად 2 ჭიქა ჩამოასხათ

**შენიშვნა:** როდესაც "DoubleShot" ან "TripleShot" ფუნქცია ჩართულია, ორი ჭიქის ერთდროულად მომზადების ფუნქციის გამოყენება შეუძლებელია.

1. სასურველი პროგრამის არჩევა
2. ⧉ დააჭირეთ.
   - ✔ ეკრანზე ჩანს ⧉ პარამეტრი.
3. დადგით ორი ჭიქა სასმელის ჩამოსხმის ხვრელის ქვეშ მარჯვენა და მარცხენა მხარეს.
4. დააჭირეთ start stop
   სასმელი მზადდება 2 ეტაპობრივად. მარცვლები იფქვება 2 დაფქვის პროცესით.
   - ✔ სასმელი იხარშება და შემდეგ ისხმება ჭიქებში.
5. დაელოდეთ პროცესის დასრულებას.

## 9 საფქვავი

თქვენს დანადგარს გააჩნია ინტეგრირებული საფქვავი, რომლითაც შეგიძლიათ დაფქვის ხარისხი დაარეგულიროთ

### 9.1 საფქვავის პარამეტრის დაყენება

- ▸ ყავის წმინდა დაფქვიდან.⁘. მსხვილ დაფქვამდე∘⁘ რეჟიმის ასარჩევად, გადააადგილეთ შესაბამის პოზიციაზე ცოცია
  → *სურ.* **25**
  დაფქვის ხარისხის არჩევისას ოდნავ შეცვალეთ პარამეტრი.
  სარეგულირებული დაფქვის ხარისხი ძალაში შედის მეორე ჭიქის მომზადების შემდეგ

**რჩევა:** თუ ყავა წვეთ-წვეთად მოდის, დაფქვის დონე მსხვილად დაფქვაზე დააყენეთ.
თუ ყავა ძალიან სწრაფად მოედინება და ძალიან ცოტა ნაღებს იკეთებს, დაფქვის დონე წვრილად დაფქვაზე დააყენეთ.

## 10 რძის კონტეინერის სათავსო

დანადგარი აღიქვამს, როდესაც რძის კონტეინერი სათავსოზე დგას

**შენიშვნა:** თუ სტანდარტულ რძის კონტეინერს ან ყუთს გამოიყენებთ, დანადგარი მას ავტომატურად ამოიცნობს/აღიქვამს.

### 10.1 რძის კონტეინერის სათავსოს გამოყენება

1. რძის კონტეინერი ან რძის ყუთი მიაერთეთ და დადგით სათავსოზე.
2. დაიწყეთ მომზადება.

**შენიშვნა:** თუ გამოჩნდა "Please insert milk container." შეტყობინება, მომზადება შეუძლებელია.

### 10.2 საკუთარი რძის კონტეინერის გამოყენება [1]

დანადგარის ზოგ კონკრეტულ სერიაზე შეგიძლიათ საკუთარი რძის კონტეინერი გამოიყენოთ

[1] დანადგარის აღჭურვილობისამებრ

1. მოამზადეთ საკუთარი რძის კონტეინერი
2. მიუსადაგეთ საკუთარი რძის კონტეინერი
   → *"მიმოხილვა Settings", გვერდი 25*
   წონიდან გამომდინარე დანადგარი აღიქვამს რძის რაოდენობას კონტეინერში ან ყუთში თუ კონტეინერში არასაკმარისი რძეა, გამოჩნდება შეტყობინება

**შენიშვნა:** თუ სტანდარტულ რძის კონტეინერს ან ყუთს გამოიყენებთ, დანადგარი მას ავტომატურად აღიქვამს

# 11 ბავშვების უსაფრთხოება

ბავშვები დამდუღვრისა და დამწვრობისგან რომ დაიცვათ, შეგიძლიათ დანადგარი დაბლოკოთ

## 11.1 ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტის აქტივაცია

**წინაპირობა:** დანადგარი ჩართულია

1. დააჭირეთ ⋮
2. დააჭირეთ ⚿

✔ ბავშვების უსაფრთხოების ბლოკირება აქტიურია

## 11.2 ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტის დეაქტივაცია

1. დააჭირეთ ⋮
2. გაასრიალეთ თითი წრეზე, სანამ არ გაივსება ბოლომდე



✔ ბავშვთა უსაფრთხოების ჩამკეტი დეაქტივირებულია

# 12 „რჩეულები“

შეინახეთ ინდივიდუალური სასმელები „რჩეულებში“, რათა სწრაფად მოამზადოთ „რჩეული“ შეიცავს სასმელს რომელსაც პირადად ანიჭებთ უპირატესობას შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ პარამეტრები

**შენიშვნა:** პარამეტრებიდან გამოსასვლელად დააჭირეთ ⌂ ღილაკს ან სასმელის ჩამოსხმის დაწყებას

## 12.1 „რჩეულების“ რჩეული მენიუდან შექმნა

1. დააჭირეთ "Favourites"
2. დააჭირეთ +
3. სასმელის არჩევა.
4. სასმელის პარამეტრების დაყენება
5. დააჭირეთ ☆ ღილაკს
6. სახელის შეყვანა.
7. დააჭირეთ "Save"

## 12.2 „რჩეულები“ შექმენით "Classics" ან "Coffee World" საშუალებით

1. აირჩიეთ სასმელი "Classics" ან "Coffee World"
2. სასმელის პარამეტრების დაყენება

3. დააჭირეთ ☆ ღილაკს
4. სახელის შეყვანა.
5. დააჭირეთ "Save"

## 12.3 „რჩეულის“ შეცვლა

1. დააჭირეთ "Favourites"
2. „რჩეულების“ არჩევა.
3. შეიტანეთ ცვლილებები.
4. დააჭირეთ ✎ ღილაკს.
5. დააჭირეთ "Save"

## 12.4 „რჩეული“ ჩამონათვალის განულება

1. დააჭირეთ "Favourites"
2. „რჩეულების“ არჩევა.
3. დააჭირეთ ★ ღილაკს
4. დააჭირეთ "Delete"

## 12.5 „რჩეულების“ სორტირება

შეგიძლიათ, „რჩეულების“ თანმიმდევრობა შეცვალოთ

1. დააჭირეთ "Favourites"
2. „რჩეულების“ არჩევა.

✔ ეკრანი ყველა „რჩეულს“ აჩვენებს, შეგიძლიათ თითით გადააადგილოთ „რჩეულები“

✔ დანადგარი ვტომატურად ინახავს ახალ რიგითობას/ თანმიმდევრობას.

**რჩევა:** ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ, წაშალოთ ან დაახარისხოთ „რჩეულები“ Home Connect აპლიკაციის საშუალებით.

# 13 Home Connect

ეს დანადგარი ექვემდებარება ქსელს. ფუნქციების Home Connect აპის მეშვეობით სამართავად ან მიმდინარე რეჟიმების სამეთვალყურეოდ, დანადგარი უნდა დაუკავშიროთ საბოლოო მობილურ მოწყობილობას.

მომსახურება Home Connect ყველა ქვეყანაში არ არის ხელმისაწვდომი. Home Connectფუნქციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია თქვენს ქვეყანაში არსებულ Home Connect მომსახურებებზე. ამასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს, იხილავთ:*www.home-connect.com*.

იმისათვის, რომ Home Connect გამოყენება შეძლოთ, დაუკავშირდით WLAN-სახლის ქსელს (Wi-Fi [1]) და Home Connect აპს.

აპლიკაცია Home Connect დაგეხმარებათ რეგისტრაციის მთელ პროცესში. პარამეტრების დაყენებისათვის, მიჰყევით Home Connect აპის მიერ მითითებულ ნაბიჯებს.

**რჩევა:** ასევე, ყურადღება მიაქციეთ Home Connect აპის მითითებებს.

**შენიშვნები**

- ყურადღება მიაქციეთ ამ გამოყენების ინსტრუქციაში მოცემულ უსაფრთხოების მითითებებს და დარწმუნდით მის შესრულებაში, როდესაც მოწყობილობას Home Connect აპის მეშვეობით მართავთ და ამ დროს სახლში არ იმყოფებით.
→ *"უსაფრთხოება", გვერდი 8*
- მოწყობილობაზე მართვას ყოველთვის უპირატესობა გააჩნია. ამ დროს მოწყობილობის მართვა Home Connect აპით არ არის შესაძლებელი.

## 13.1 Home Connect აპლიკაციის დაყენება

1. აპლიკაცია Home Connect დაყენებულია მობილურ მოწყობილობაზე.

[1] Wi-Fi წარმოადგენს Wi-Fi Alliance-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშანს.

2. ჩართეთ აპლიკაცია Home Connect და დააყენეთ წვდომა Home Connect-თვის. აპლიკაცია Home Connect დაგეხმარებათ რეგისტრაციის მთელ პროცესში.

## 13.2 დააყენეთ Home Connect

**წინაპირობა:** მოწყობილობას აქვს მიმღები სახლის ქსელის WLAN (Wi-Fi) მონტაჟის ადგილას.

1. დაასკანირეთ შემდეგი QR-კოდი.

   გამოიყენეთ QR-კოდი აპლიკაციის დასაყენებლად Home Connect და თქვენი მოწყობილობის შესაერთებლად.
2. მიჰყევით Home Connect აპლიკაციის მითითებებს.

## 13.3 Home Connect პარამეტრები

მოარგეთ Home Connect თქვენს მოთხოვნებს.
